186
1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი—თებერვალი

1991 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

48

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1991 წ.

19857

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 ნოემბრის № 716 დადგენილებასა და მის დანართში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
2. გაზეთების „ვესტნიკ გრუზიისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რეგისტრაციის შესახებ.
3. საზოგადოება „ლეჩხუმის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
4. სამაჩაბლოს ადორძინების ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
5. საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
6. საზოგადოება საქართველოს ოფიცერთა კორპუსის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
7. გაზეთ „წუთისოფლის“ რეგისტრაციის შესახებ.
8. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რეგისტრაციის შესახებ.
9. ჟურნალ „თანამედროვე რომანის“ რეგისტრაციის შესახებ.
10. გაზეთ „ქართული კულტურის“ რეგისტრაციის შესახებ.
11. გაზეთ „თანდგომის“ რეგისტრაციის შესახებ.
12. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ.
13. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 26 სექტემბრის № 518 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
14. გაზეთ „ნოვაია გაზეტას“ რეგისტრაციის შესახებ.
15. გაზეთ „ომის ვეტერანის“ რეგისტრაციის შესახებ.
16. ჟურნალ „ინტერვიუს“ რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. გაყიდვიდან გადასახადის გამონაგარიშებისა და გადახდის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.
18. რესპუბლიკაში კოოპერატივებისა და ინდივიდუალურად მომუშავეთა საქმიანობის მოწესრიგების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.
19. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ დებულების, სტრუქტურისა და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელის დამტკიცების შესახებ.
20. საქართველოს სატრანსპორტო მშენებლობის დამოუკიდებელი კორპორაცია „მაგისტრალის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
21. საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
22. საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო ასოციაცია „ეკოტექნოლოგია-90-ის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
23. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლის საკითხი.
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 9 ნოემბრის № 699 დადგენილების გაუქმების შესახებ.
25. ჟურნალ „ღიმილის“ რეგისტრაციის შესახებ.
26. საქართველოს „დოსაფის“ საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 1989 წლის 14 აგვისტოს № 408 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.
28. საშაურნეო ასოციაცია „იმედის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
29. საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
30. საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ასოციაცია „კომპლექსის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
31. თბილისის სტეფანე წმიმიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის სახელის შეცვლის შესახებ.
32. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 7 თებერვლის № 76 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
33. საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდების რეგისტრაციის შესახებ.
34. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
35. ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქველმოქმედო ასოციაცია „მზისას“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
36. ქალთა სულიერი ერთიანობის განმამტკიცებელი დასის „რწმენის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
37. სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების და განთავისუფლების წესის შესახებ.
38. ჟურნალ „ნაკადულის“ რეგისტრაციის შესახებ.
39. სახელმწიფო კონცერნ „ვარძიის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
41. გაზეთ „თბილისის“ და მისი დამატების „ცნობის ფურცლის“ რეგისტრაციის შესახებ.
42. გაზეთ „ავერაძალის“ რეგისტრაციის შესახებ.
43. ჟურნალ „ხალხური მედიცინის“ რეგისტრაციის შესახებ.
44. გაზეთ „საქმის“ რეგისტრაციის შესახებ.
45. გაზეთ „ლემის“ რეგისტრაციის შესახებ.
46. საქართველოს რესპუბლიკის არქეოლოგიური ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
47. ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალების“ რეგისტრაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები

1 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 ნოემბრის № 716 დადგენილებასა და მის დანართში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 ნოემბრის № 716 დადგენილებასა და დანართში, კერძოდ: დადგენილების პირველ პუნქტში სიტყვები „სამხრეთ ოსეთის საოლქო და თბილისის საქალაქო სამმართველობი“ შეიცვალოს სიტყვებით „თბილისის საქალაქო სამმართველოს“; მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხრეთ ოსეთის საოლქო“, ხოლო დანართის სათაურიდან — სიტყვები „ავტონომიური ოლქისა“ და დანართის ტექსტიდან — სიტყვები „სამხრეთ ოსეთის აო“ შესაბამისი თანხებით.

2. დაემატოს დანართში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტებიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობანი სტატისტიკური ინფორმაციის დასამუშავებლად 1991 წელს:

	სულ	მათ შორის სამეურნეო
ქ. ცხინვალი	17,0	1,0
რაიონები:		
ახალგორის	15,0	1,0
ზნაურის	12,0	1,0
ცხინვალის	15,0	1,0
ჯავის	12,0	1,0

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 8 იანვარი, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 გაზეთების „ვესტნიკ გრუზიისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გაზეთების „ზარია ვოსტოკასა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ ბაზაზე დაარსდეს რუსულენოვანი ა2 ფორმატის, 4-გვერდიანი, ყოველდღიური გაზეთი „ვესტნიკ გრუზიი“ და რეგისტრირებულ იქნეს იგი როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო, ხოლო გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ გატარდეს რეგისტრაციაში როგორც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საღამოს გაზეთი.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 18 დეკემბრის № 774 დადგენილება.

3. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გაზეთების გავრცელება ხელმოწერითა და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს მათი გამოცემისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 11 იანვარი, № 5

3 საზოგადოება „ლეჩხუმის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საზოგადოება „ლეჩხუმის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვანიტაია**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 11 იანვარი, № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 სამაჩაბლოს აღორძინების ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სამაჩაბლოს აღორძინების ფონდის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 14 იანვარი, № 21

5 საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 14 იანვარი, № 22

6 საზოგადოება საქართველოს ოფიცერთა კორპუსის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საზოგადოება საქართველოს ოფიცერთა კორპუსის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი, № 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 გაზეთ „წუთისოფლის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის გაზეთი „წუთისოფელი“.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი, № 33

8 ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში „ჟურნალი „საქართველოს ქალი“ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჟურნალი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი № 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ჟურნალ „თანამედროვე რომანის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციის საზოგადოება „სამრეკლოს“ სალიტერატურო ჟურნალი „თანამედროვე რომანი“.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჟურნალი გამოიცემა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციის საზოგადოება „სამრეკლოს“ ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი, № 35

10 გაზეთ „ქართული კულტურის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გაზეთ „სახალხო განათლებას“ („ერს“) დაერქვას „ქართული კულტურა“ და გატარდეს რეგისტრაციაში როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი, რომელიც გააშუქებს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების საკითხებს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი, № 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 გაზეთ „თანადგომის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გაზეთი „თანადგომა“ (ფორმატი-ა3, მოცულობა — 8 გვერდი, პერიოდულობა — თვეში 2-ჯერ, ტირაჟი — 30000 ეგზ.), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ჰუმანიზმის, გულმოწყალების, ურთიერთდახმარების იდეალების აღორძინებასა და დამკვიდრებას, საზოგადოების ყურადღების გაკქტიურებას მარტოხელა მოხუცებულების, ინვალიდების, მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ, გააშუქოს საერთაშორისო და ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაზეთის გამოცემას დაუფინანსებს და ქაღალდით უზრუნველყოფს საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 21 იანვარი, № 37

12 საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში იჯარის დანერგვის საქმეში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მოსახლეობაში უნდობლობა გამოიწვია. სოფლის მშრომელთა ნაწილმა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლისა და კერძო საკუთრებაში მიწის, ტექნიკის, პირუტყვის და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების გადაცემის მოლოდინში საერთოდ მიატოვა მუშაობა. დაიწყო როგორც მიწის, ისე ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების თვითნებური გადანაწილება, რის გამოც მთელ რიგ რაიონებში ჩაშლილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რეალური საფრთხის წინაშეა 1991 და შემდგომი წლების მოსავლის ბედი.

დაუშვებლად მიაჩნია რა შექმნილი მდგომარეობა, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნება როგორც საზოგადოებრივი მეურნეობები, ისე სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო შეკვეთა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს აღაკვეთონ სახელმწიფო ქონების თვითნებური დანაწილება-დატაცება, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიტაცებული ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაუყოვნებლივ დასაბრუნებლად.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი კვირის ვადაში უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებზე სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთის მოცულობის დაყვანა, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ შესაბამის საწარმოებთან და სხვა მწარმოებლებთან ზემოაღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსთვის ჩაბარების ხელშეკრულებათა დადება.

3. გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალოს არსებულ შინასამეურნეო, ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შენარჩუნება და განვითარება. ამასთან დაკავშირებით დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა შესახებ“ (თან ერთვის) და დაწესდეს, რომ იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიწის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებამდე.

4. ეს დადგენილება წარედგინოს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 22 იანვარი, № 42

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს 1991 წლის 22 ივნისის № 42
დადგენილებით

დ ე ბ ე ბ ი ს ა

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა შესახებ

მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობა განისაზღვრება შინასამეურნეო, ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შემდეგი წესის მიხედვით:

1. შინასამეურნეო, ანუ სანარდო იჯარის ძირითადი პრინციპია მეიჯარესა (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით გამცემი) და მოიჯარეს (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით მიმღები) შორის ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა, რომლის დროსაც დაცული უნდა იქნეს სამი ძირითადი პირობა:

— მეიჯარისათვის მისაყიდი პროდუქციის მოცულობის დადგენა კალენდარული ვადის, ხარისხისა და სახეების მიხედვით;

— მოიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მიწოდებისა და მომსახურების გაწევის კალენდარული ვადის დადგენა;

— მისაყიდი პროდუქციის, მოხმარებული მატერიალური საშუალებებისა და გაწეული მომსახურების სახელშეკრულებო ფასების განსაზღვრა.

2. მოიჯარე შეიძლება იყოს შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.) ოჯახი, მოქალაქე.

3. მეიჯარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით გადასცემს მოიჯარეს მიწას და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, მისგან კი სანაცვლოდ ყიდულობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციას სახელშეკრულებო (საანგარიშწორებო) ფასებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

4. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მოიჯარე დანაკლისს ანაზღაურებს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოიჯარეს არ შეუსრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მატერიალური ფასეულობების მიწოდება და მომსახურების გაწევა), იგი მოვალეა ამ მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების ღირებულება აუნაზღაუროს მოიჯარეს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით.

5. მეიჯარე მოიჯარეს უწევს საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებას, ამარაგებს თესლით, სასუქებით, ფურაჟით, საწვავ-საზეთი და სხვა მასალებით, რომელთა საფასურსაც ანდევინებს სახელშეკრულებო ფასით. მოიჯარის მიერ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ღირებულებასა და მეორეს მხრივ გაწეულ მომსახურებასა და მიწოდებულ მატერიალურ საშუალებათა ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს მოიჯარის შემოსავალს, რომელსაც იგი იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

6. სარეალიზაციო და სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო) ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს მეიჯარის მოგებას, რომლიდანაც მეიჯარე ქმნის ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს და იხდის ყოველგვარ გადასახადს.

7. იჯარის დროს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით წარმოების თავისებურებებიდან და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

8. მოიჯარეზე (შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული — ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ., ოჯახი, მოქალაქე) იხსნება პირადი ანგარიში ორ ცალად — ერთს აწარმოებს მეიჯარე, მეორეს კი თვით მოიჯარე, რითაც ხორციელდება ურთიერთკონტროლი. პირად ანგარიშში ყოველთვიურად შეიტანება მონაცემები გაწეული ხარჯებისა და მიყიდული პროდუქციის შესახებ.

9. მრავალწლოვან ნარგავებში (ჩაი, ციტრუსი, დაფნა, ტუნგი, ხეხილი, ვენახი და ა. შ.) იჯარით მომუშავე კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს, ოჯახს, მოქალაქეს მიზანშეწონილია სრულმოსავლიან ნარგაობასთან ერთად მიემაგროს ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგავები, რომელთა გაშენებისა და მოვლისათვის გაწეული ხარჯები აღირიცხება ცალკე.

ამასთან, ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგაობიდან სრულ მსხმოიარებაში შესვლამდე მიღებული პროდუქციის ნაწილი, რომლის მოცულობაც ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, უნდა მიეყიდოს მეიჯარეს, ხოლო მოიჯარის შრომა ანაზღაურდეს მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და მოვლისათვის დადგენილი წესით.

10. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების გადიდებით მოიჯარის მატერიალური დაინტერესება და მეიჯარის მიერ გარკვეული მოგების მიღება. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებში შედის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყველა პირდაპირი დანახარჯი, კერძოდ,: შრომის ანაზღაურება დანარიცხებითა და სოციალურ-ზღვევის ანარიცხების ჩათვლით; თესლის, სარგავი მასალის, საკვების, სასუქების, ზხამ-ქიმიკატების, მედიკამენტების, საწვავ-საზეთი მასალების ღირებულება; ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი, აგრეთვე სხვა პირდაპირი დანახარჯები.

11. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი ამა თუ იმ პროდუქციის ერთეულზე განისაზღვრება ზემოაღნიშნული პირდაპირი დანახარჯების ჯამის გაყოფით პროდუქციის წარმოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი იანგარიშება ორი ვარიანტით:

— ნორმატიული მეთოდით — იმ შემთხვევაში, როდესაც შემუშავებულია პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი საწარმოო დანახარჯების დასაბუთებული ნორმატივები. ამ პირობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მთლიანი პროდუქციის ნორმატიული პირდაპირი დანახარჯების ჯამი იყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მოცულობაზე;

— წინა 3-5 წლის ფაქტიური (მიმდინარე ფასებში გადაანგარიშებული) დანახარჯების მიხედვით. ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კარგად ორგანიზებულ საწარმოებში, სადაც წარმოების პროცესი რაციონალურტექნოლოგიურ საფუძველს ემყარება. ამ შემთხვევაში პირდაპირი დანახარჯები (მიმდინარე ფასებში გადაანგარიშებული) იყოფა ამავე წლებში ფაქტიურად წარმოებულ პროდუქციაზე.

13. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასები წესდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადისათვის. თუ ამ პერიოდში გამოვლინდება უზუსტობანი ან მკვეთრად შეიცვლება წარმოების პირობები, შესაძლებელია მათი კორექტირება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შეთანხმებით.

14. ხელშეკრულების ზევით მეიჯარისათვის მისაყიდ პროდუქციაზე ურთიერთშეთანხმებით შეიძლება დაწესდეს ორივე მხარისათვის მისაღები ფასი.

15. იჯარით მომუშავე შრომით კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.), ოჯახს, მოქალაქეს წარმოებული პროდუქციისათვის საბოლოო ანგარიშსწორებამდე წლის განმავლობაში ეძლევა ავანსი. მისი ოდენობა განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ავანსის თანხა შრომითი კოლექტივის წევრთა შორის ნაწილდება მათივე გადაწყვეტილებით.

საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მეიჯარისათვის პროდუქციის მიყიდვის შემდეგ. მეცხენეობაში ეს, როგორც წესი, წლის ბოლოს ხდება. მეცხოველეობაში, სადაც პროდუქცია რეგულარულად შემოდის (მაგალითად: რძე, კვერცხი), აგრეთვე მომსახურების სფეროში ანგარიშსწორება შეიძლება წარმოებდეს ყოველთვიურად.

16. მოიჯარე შრომითი კოლექტივის და ოჯახის თითოეული შრომისუნარიანი წევრი ექვემდებარება სოციალურ დაზღვევას და ამის კვალობაზე ისინი უზრუნველყოფილი არიან პენსიით (მოქმედი კანონმდებლობით).

შრომითი სტაჟი განისაზღვრება მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის შესაბამისად შრომითი ნორმატივის გამოყენებით.

17. შინასამეურნეო (სანარდო) იჯარაზე ხელშეკრულება ფორმდება საქსახგრომრეწვის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (თან ერთვის).

18. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წინა წლებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

19. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარეს ეკრძალება ყოველგვარი არასამეურნეო დანიშნულების მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მოიჯარე მოვალეა დაიცვას მიწის გამოყენების მოთხოვნები, არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის ნაყოფიერების დაქვეითება, დაიცვას მიწა ეროზიისაგან და თუ მისი მიზეზით გაუარესდა მიწის ნაყოფიერება, საკუთარი ხარჯებით აღადგინოს იგი.

21. სტიქიით მიყენებული ზარალის შემთხვევაში მეიჯარე მოიჯარეს გაუწევს დახმარებას დაზღვევის არსებული წესის მიხედვით.

22. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა გამო წარმოშობილ დავას ათი დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტი

ტიპობრივი ხელშეკრულება

იჯარით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესახებ

ერთის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის _____ რაიონის _____ საწარმოს სახელით (შემდგომში მეიჯარედ წოდებული)

_____

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

და მეორეს მხრივ მოიჯარედ წოდებული მოქალაქე _____

(გვარი, სახელი,

_____ ვდებთ ამ ხელშეკრულებას 199 წლის „ “

მამის სახელი)

_____ დან _____ წლის ვადით, 199____

წლის ჩათვლით, შემდეგზე:

1. მოიჯარე ვალდებულია:

1.1. აწარმოოს და მიჰყიდოს მეიჯარეს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემდეგი ოდენობით:

პროდუქციის *) დასახელება	1991 წელი	1992 წელი	1993 წელი	1994 წელი	1995 წელი	1996 წელი	1997 წელი	1998 წელი	1999 წელი	2000 წელი
1.										
2.										
3.										

1.2. ეფექტიანად გამოიყენოს მიმაგრებული მიწის სავარგულები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებანი.

1.3. დაიცვას ტექნიკის ექსპლუატაციის, ზოოვეტერინარული, აგროტექნიკური, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა წესები. არ დაუშვას გარემოს გაჭუჭყიანება, მიწათსარგებლობის წესების დარღვევა.

1.4. უზრუნველყოს მიმაგრებული მიწის, მრავალწლოვანი ნარგავების, შენობა-ნაგებობების, პირუტყვის, მოწყობილობის, ტექნიკის, ინვენტარის, მასალების დანიშნულებით გამოყენება და წარმოებული პროდუქციის დაცვა.

---

*) **შენიშვნა.** ყოველწლიურად დგინდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მოცულობა კალენდარული ვადის, სახეების, ხარისხისა და **ფასების (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) მიხედვით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.5. დროულად წარუდგინოს მეიჯარეს მოთხოვნა საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურებაზე.

1.6. აუნაზღაუროს მეიჯარეს დახარჯული მატერიალური ფასეულობების, საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ღირებულება. მატერიალური ფასეულობებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელდეს მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ამონაგებიდან მისი დაკავებით.

1.7. მატერიალური დანახარჯების, გაწეული მომსახურების და სხვა ფასეულობათა აღრიცხვა აწარმოოს იჯარის კანონმდებლობით განსაზღვრული აღრიცხვის ფორმებით.

2. მეიჯარე ვალდებულია:

2.1. გადასცეს საინვენტარიზაციო აქტის საფუძველზე ფაქტიური ღირებულებით მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების ვადით წარმოების ძირითადი საშუალებანი: მიწა, შენობა-ნაგებობები, მრავალწლოვანი ნარგავები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობა, ინვენტარი, რომელიც წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და ირიცხება მის ბალანსზე.

2.2. მიამაგროს მოიჯარეს: სახნავი ——— ჰექტარი, სათიბი ——— ჰექტარი, საძოვარი ——— ჰექტარი, ბაღი ——— ჰექტარი, ციტრუსი ——— ჰექტარი, ვენახი ——— ჰექტარი, ჩაის პლანტაცია ——— ჰექტარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ——— სული, მათ შორის ძროხა ——— სული, ღორი ——— სული, მათ შორის დედა ღორი ——— სული, ცხვარი ——— სული, მათ შორის დედა ცხვარი ——— სული და ა. შ.

2.3. უზრუნველყოს მოიჯარე მინერალური და ორგანული სასუქებით, კომბინირებული და სხვა საკვებით, შხამქიმიკატებით, საშენი მასალებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული რაოდენობით.

შემდეგი ფასებით*):

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დასახელება	ზომის ერთეული	ფასი	რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
1. კომბინირებული საკვები				
2. მინერალური სასუქები				
3. საშენი მასალები				
4. თესლი				
5. სარგავი მასალა				
6.				
7.				

*) **შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა რაოდენობის მიხედვით სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული სანაზრო) ფასი.

1987 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.4. აღმოუჩინოს მოიჯარეს საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურება ქვემოთ მოყვანილი ფასებით*):

ტონა/კმ ———————— მან.
ეტალონ/ჰა ———————— მან.
მანქანა/საათი ———————— მან.

2.5. გაუწიოს უფასო კონსულტაციები მოიჯარეს აგრონომიულ, ზოოვეტერინალურ, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

2.6. დროულად იყიდოს მოიჯარისაგან წარმოებული პროდუქცია და აუნაზღაუროს მისი ღირებულება 1 თვის განმავლობაში შემდეგი სახელშეკრულებო ფასებით:

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობა (მან.)	გათვალისწინებულია	ხელშეკრულების ზღვარი (მან)
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

ფასები სტაბილურია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში და მისი გადასინჯვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა უზუსტობანი მისი დადგენის დროს ან მკვეთრად შეიცვალა წარმოების პირობები, მატერიალური რესურსების ფასები. ამასთან, ყველა ცვლილება უნდა შეთანხმდეს მოიჯარესთან.

საბოლოო ანგარიშსწორებამდე ავანსად გასცეს მისაყიდი პროდუქციის ღირებულების ———————— პროცენტი.

8. საერთო საკითხები

3.1. მოიჯარე დამოუკიდებლად წყვეტს შრომის ორგანიზაციის, წევრთა შორის შრომის ანაზღაურების, შრომისა და დასვენების რეჟიმის საკითხებს.

3.2. მოიჯარის მიერ აგროტექნიკური და ზოოვეტერინარული მოთხოვნების დარღვევით შესრულებულ სამუშაოთა გამოსწორება ხდება მოიჯარის ხარჯზე. დარღვევის სახეს აღგენენ დარგის სპეციალისტები სათანადო აქტით.

3.3. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ვრცელდება ———————— წლის ჩათვლით.

3.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში როგორც მოიჯარეს, ასევე მეიჯარეს აქვს პრეტენზიების წაყენე-

*) **შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მომსახურების მოცულობის მიხედვით სახელშეკრულებო (**საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო**) **ფასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის უფლება, ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს 10 დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახალხო სასამართლოს ან არბიტრაჟს.

3.5. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მეიჯარე განსაზღვრავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დანაკლისს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით და გამოაკლებს საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორების დროს. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარემ მოიჯარეს არ შეუსრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მოიჯარე მატერიალური ფასეულობისა და მომსახურების საერთო ღირებულების დანაკლისს განსაზღვრავს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით. ამ დანაკლისის ღირებულების გაყოფით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასზე მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც მოიჯარემ შეუძლია შეუმციროს მეიჯარეს.

3.6. მოიჯარის შემოსავლის ოდენობა განსაზღვრული და შეზღუდული არ არის. ხელშეკრულების ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

3.7. იჯარით მუშაობის პერიოდი მოიჯარეს ეთვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟში.

3.8. მოიჯარის შრომითი დანახარჯები განისაზღვრება მის მიერ მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის რაოდენობიდან გამომდინარე, რომელიც იანგარიშება უკანასკნელი 3-5 წლის საშუალო მაჩვენებლებით, რაც შეადგენს 1 ცენტნერის საწარმოებლად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე ——— კაც/დღეს, ღორის ხორცზე ——— კაც/დღეს, რძეზე ——— კაც/დღეს, სიმინდის მარცვალზე ——— კაც/დღეს, ყურძენზე ——— კაც/დღეს, თესლოვან და კურკოვან ხილზე ——— კაც/დღეს და ა. შ.

3.9. მოიჯარის საშუალო შემოსავალი, რომლის საფუძველზეც უნდა დაენიშნოს პენსია, იანგარიშება 3, 8 მუხლის მიხედვით და იგი შეადგენს: წარმოებული და მეიჯარისათვის მიყიდული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე ——— მანეთს, ღორის ხორცზე ——— მანეთს, ცხვრის ხორცზე ——— მანეთს, რძეზე ——— მანეთს, სიმინდის მარცვალზე ——— მანეთს, ყურძენზე ——— მანეთს, ხილზე ——— მანეთს და ა. შ.

3.10. მოიჯარესა და მეიჯარეს შორის ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში შრომითი კოლექტივის, მოიჯარის ან მეიჯარის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.11. ხელშეკრულების პირობებს ეთანხმებიან და ხელს აწერენ მოიჯარეები (გვარი, სახელი, მამის სახელი და ხელმოწერა).

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

3.12. ხელშეკრულება დგება სამ ცალად. ორი ცალი ინახება მეიჯარესთან, ხოლო ერთი — მოიჯარესთან.

მოიჯარის სახელით ხელს ვაწერთ: _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

პასპორტის სერია _____ №_____

ხელმოწერა _____

199___ წელი _____

(თვე და რიცხვი)

მეიჯარის სახელით: _____

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

ხელმოწერა _____

199___ წელი _____

(თვე და რიცხვი)

_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 26 სექტემბრის № 518 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაამყაოფილდეს აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების თხოვნა, შეთანხმებული საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობასთან, და „საქართველოს ზოგიერთი უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ფორმირების ჟურნალ-გაზეთებისა და კრებულების დაარსების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 26 სექტემბრის № 518 დადგენილების დანართში ზემოაღნიშნული განყოფილების გაზეთ „ოქროს საწმისის“ ნაცვლად ჩაიწეროს გაზეთი „კოლხური დიადემა“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 24 იანვარი, № 46

14 გაზეთ „ნოვაია გაზეტას“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წაიადგება და გატარდეს რეგისტრაციაში დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ნოვაია გაზეტა“.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაზეთი „ნოვაია გაზეტა“ გამოიცემა საკუთარი ქოფალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 იანვარი, № 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 გაზეთ „ომის ვეტერანის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რეგისტრირებულ იქნეს ომის ვეტერანთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაზეთი „ომის ვეტერანი“ (ფორმატი — ა3, მოცულობა — 6 გვერდი, პერიოდულობა — კვირაში ერთხელ, ტირაჟი — 35 ათასი ეგზემპლარი).

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაზეთი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ę თბილისი, 1991 წ. 28 იანვარი, № 52

16 ჟურნალ „ინტერვიუს“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში დამოუკიდებელი საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ინტერვიუ“.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს აღნიშნული ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჟურნალი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

Ę თბილისი, 1991 წ. 28 იანვარი, № 53

17 გაყიდვიდან გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „გაყიდვიდან გადასახადის შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული დებულება გაყიდვიდან გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირმა, საქართველოს რესპუბლიკის სახმომარაგებამ, სამინისტროებმა და უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა 1991 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით უზრუნველყონ პროდუქციისა და საქონლის (გარდა ჩამოფასებულისა) აფასება საცალო, საბითუმო ქსელში და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში მათი ღირებულების გადიდებით გაყიდვიდან გადასახადის თანხით 5 პროცენტის ოდენობით. აფასების თანხები ჩაირიცხოს მათი დაქვემდებარების მიხედვით საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ დაადგინოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაყიდვიდან გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების კომპენსაციის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 31 იანვარი, № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს 1991 წლის 31 იანვრის № 57
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

გაყიდვიდან გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით 1991 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია გაყიდვიდან გადასახადი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლის, შესრულებული სამუშაოებისა და ფასიანი მომსახურების რეალიზაციიდან.

I. გადასახადის გადამხდელები

1. გაყიდვიდან გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა) საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და არიან იურიდიული პირები, უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების იმ ფორმების მიუხედავად, რომელთაც ისინი ემყარებიან, სსრ კავშირის ტერიტორიაზე საბჭოთა იურიდიული პირების, უცხოელი იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების ჩათვლით, აგრეთვე მათი ფილიალები (განყოფილებები, სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები), რომელთაც აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში ბანკის დაწესებულებებში და ახდენენ პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციას;

ბ) საერთაშორისო გაერთიანებები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (გაერთიანებები), რომლებიც ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას, საბჭოთა საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების ფილიალები, რომლებიც იმყოფებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე და ახდენენ პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციას;

გ) ორგანიზაციები, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ ახდენენ პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციას;

დ) სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი უცხოელი იურიდიული პირები, რომლებიც ახდენენ პროდუქციის, საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციას.

ამ პუნქტში აღნიშნული საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები შემდგომში იწოდებიან „გადამხდელებად“.

2. საპითუმო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციები (გარდა ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის ორგანიზაციებისა), საცალო ვაჭრობის საწარმოები, რესტორნები, კაფეები ითვლებიან გაყიდვიდან გადასახადის გადამხდელებად საკუთარი წარმოების პროდუქციაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, აგრეთვე სახალხო მოხმარების იმპორტულ საქონელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. დაბეგვრის ობიექტი

3. დაბეგვრის ობიექტად ითვლება ამონაგები გარეთ (სხვა საწარმოებზე, ეკონომიანებებზე, ორგანიზაციებზე, აგრეთვე მოსახლეობაზე) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების, სათბობის, სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის იმპორტულის, შესრულებული სამუშაოებისა (საშენებლო, სარემონტო, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, ღრმა ბურღვის გეოლოგიურ-საძიებო, საპროექტო-საძიებო და სხვ.) და ფასიანი მომსახურების (საყოფაცხოვრებო, კომუნალური, საიჯარო, სატრანსპორტო, აუდიტორული, სარეკლამო, საინფორმაციო, საინოვაციო და სხვა სახის მომსახურების, გარდა ფინანსურ-საბანკო ოპერაციებისა) რეალიზაციიდან, რომლებიც შემდგომ მოიხსენიება როგორც პროდუქცია, საქონელი და მომსახურება.

4. გაყიდვიდან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ამონაგები პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოქმედი წესის შესაბამისად დადგენილი ფასებით, ტარიფებითა და შეფასებებით (შესასყიდი, საბითუმო, სახარჯთაღრიცხვო, საცალო ფასები, აგრეთვე ტარიფები და შეფასებები, სახელშეკრულებო ფასები ტარიფებისა და შეფასებების ჩათვლით).

პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ზემოაღნიშნული ფასებით რეალიზაციისას საწარმოები მათ ღირებულებას ზრდიან გაყიდვიდან გადასახადის თანხით, რომელიც საანგარიშწორებო საბუთებში აღინიშნება ცალკე სტრიქონით.

5. საქონელზე, რომელზეც ამოიღება ბრუნვის გადასახადი, შენარჩუნდება მისი გადახდის მოქმედი წესი. ბრუნვის გადასახადით დასაბეგრ საქონელზე გაყიდვიდან გადასახადის გამოანგარიშებისას ამონაგების მოცულობა არ ექვემდებარება ბრუნვის გადასახადის თანხით შემცირებას.

6. მომმარაგებელ-გამსაღებელი (გარდა ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემისა) და საბითუმო ორგანიზაციები, რომლებიც პროდუქციასა და საქონელს ღებენ გაყიდვიდან გადასახადის თანხით გადიდებული ფასებით, მის რეალიზაციას ახდენენ ამავე ფასებით.

7. სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები (საზოგადოებრივი კვების საწარმოების ჩათვლით) სახალხო მოხმარების საქონლის მომწოდებლებს მათ ღირებულებას უნაღდებენ ფიქსირებული და სახელშეკრულებო საცალო ფასებით, შესაბამისი დათმობების გამოკლებით, მათზე სრული ფასებიდან გამოანგარიშებული გაყიდვიდან გადასახადის დამატებით, აგრეთვე თავისუფალი გასაცემი საცალო ფასებით, რომლებიც გადიდებულია გაყიდვიდან გადასახადის თანხით, საქონლის მოსახლეობაზე რეალიზაცია წარმოუს გაყიდვიდან გადასახადის თანხით გადიდებული ფასებით მაღაზიებისათვის წარდგენილ იარლიყებზე ფასების აღნიშვნის შეუცვლელად.

გაყიდვიდან გადასახადის დამრგვალება ხდება შემდეგი წესით: 0,5 კაპიკამდე არ ჩაითვლება, 0,5 კაპიკიდან და ზევით მრგვალდება სრულ კაპიკამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ფასიანი მომსახურების გაწევისას შემკვეთები მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა ნაკეთობათა ღირებულებას ანაღდებენ იმ ფასებით, რომლებითაც შეიძინეს ისინი ამ მომსახურების გამწევება საწარმოებმა. ფასიანი მომსახურების გაწევისას გამოყენებული მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა ნაკეთობათა ღირებულებას გაყიდვიდან გადასახადი არ დაერიცხება.

9. სარკინიგზო, ავტობუსის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტზე, თეატრალურ-სანახაობით და სპორტული საწარმოების, ლექციური საქმიანობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე ბილეთები იყიდება გაყიდვიდან გადასახადის თანხით გადიდებული ფასებითა და ტარიფებით (ამ დებულების მე-18 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულის გარდა).

10. შეძენილი პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ღირებულება, გადიდებული გაყიდვიდან გადასახადის თანხით, მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს სსრ კავშირის საწარმოებში პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში ჩართული ხარჯების შემადგენლობაზე დადგენილი წესით დამტკიცებული ძირითადი დებულების შესაბამისად.

III. გაყიდვიდან გადასახადის განაკვეთები და მისი ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

11. გადამხდელები გაყიდვიდან გადასახადს იხდიან განაკვეთის მიხედვით 5 პროცენტის ოდენობით ამონაგების თანხიდან.

12. გაყიდვიდან გადასახადი საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ჩაირიცხება მათი დაქვემდებარების შესაბამისად საკავშირო, რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში მთლიანი თანხის ოდენობით.

IV. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

13. გაყიდვიდან გადასახადი გადაიხდება ყოველი გასული დეკადის, თვის ან კვარტალის ამონაგებიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.

14. გაყიდვის მომენტად ითვლება სახსრების შემოსვლა ანგარიშსწორების ანგარიშზე ბანკში პროდუქციაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, ხოლო ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას ამონაგების სალაროში შემოსვლის დღე. იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელისათვის დადგენილია წესი, რომლის დროსაც რეალიზებულად ითვლება გაგზავნილი საქონელი (პროდუქცია), გაყიდვის დღედ ითვლება საანგარიშსწორებო სპუთების ბანკში ჩაბარების დღე.

ცალკეულ გადამხდელებს საგადასახადო ორგანოებთან შეთანხმებით შეუძლიათ გამოიყენონ გაყიდვის მომენტის განსაზღვრის სხვა წესი.

15. გაყიდვიდან გადასახადის გადამხდელები შესაბამის საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ გაყიდვიდან გადასახადის გაანგარიშებებს დადგენილ ვადებში და ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. გადამხდელთა პასუხისმგებლობა და საგადასახადო ორგანოების კონტროლი

16. პასუხისმგებლობა გაყიდვიდან გადასახადის გამოანგარიშების სისწორისა და გადახდის დროულობისათვის ეკისრებათ გადასახადის გადამხდელებს.

17. საგადასახადო ორგანოების კონტროლი გადასახადის გამოანგარიშების სისწორისა და გადასახადის გადახდის დროულობისადმი, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა ხორციელდება „სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

VI. გაყიდვიდან გადასახადის შეღავათები

18. გაყიდვიდან გადასახადით არ დაიბეგრება:

ა) ამონაგები პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების საექსპერტოდ რეალიზაციიდან;

ბ) ამონაგები ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის ორგანიზაციებზე;

გ) ამონაგები ნავთობის (კონდენსატის), გაზის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის, თბოენერგიის და სხვა პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც არ ექვემდებარება გადაშუშავებას და გადაეცემა შემდგომი რეალიზაციისთვის;

დ) ამონაგები ძვირფასი ლითონების და ალმასების რეალიზაციიდან სახელმწიფო ფონდში, აგრეთვე სპეციალური პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც ნაღდდება ბიუჯეტის ხარჯზე;

ე) ამონაგები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელების, სპეციალური და სამედიცინო მოწყობილობის, წამლებისა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის, ინვალიდებისა და მოხუცებულთათვის სპეციალური დანიშნულების საქონლის რეალიზაციიდან;

ვ) ამონაგები სსრ კავშირის კავშირგამბმულობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგამბმულობის სამინისტროების საექსპლუატაციო საწარმოების მიერ გაწეული საფოსტო კავშირგამბმულობის მომსახურებიდან;

ზ) ამონაგები მსუბუქი ტაქსების, საქალაქო, რაიონული (სასოფლო რაიონის ფარგლებში) სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გაწევიდან, აგრეთვე ზღვის, სამდინარო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა საგარეუბნო გადაყვანის მომსახურებიდან და მგზავრებისათვის სადგურებში, ნავსადგურებში, მატარებლებსა და გემებში გაწეული მომსახურებიდან;

თ) ამონაგები ბავშვთა, ავადმყოფთა და მოხუცებულთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურებიდან, სასწავლო დაწესებულებათა საერთო საცხოვრებლების ექსპლუატაციაზე მომსახურებიდან, დამკრძალავი ბიუროების, სასაფლაოების მომსახურებიდან;

ი) ამონაგები მოსახლეობისათვის ერთეულზე 20 კაპიკზე ნაკლები ღირებულების სახალხო მოხმარების საქონლისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციიდან, აგრეთვე სასურსათო საქონლის რეალიზაციიდან, სპირტის შემცველი სასმელების, თამბაქოს ნაწარმისა და ჩაის პროდუქციის გარდა;

კ) ბინის ქირა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) ამონაგები მომსახურების გაწევიდან ავტომატების გამოყენებით;

მ) ამონაგები სამკურნალო-საწარმოო სახელოსნოებისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან;

ნ) ამონაგები თეატრალურ-სანახაობითი, სპორტული საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კინოთეატრების (კინოდანადგარების) მიერ ჩატარებულ საბავშვო ღონისძიებებზე ბილეთების რეალიზაციიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 რესპუბლიკაში კოოპერატივებისა და ინდივიდუალურად მომუშავეთა საქმიანობის მოწესრიგების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში სასურსათო საქონლის მწვავე დეფიციტის პირობებში, როდესაც მათი რეალიზაცია ძირითადად ხდება საბარათო წესით, მიზანშეუწონელია საბაზრო ფონდის რესურსებიდან პროდუქტების გაცემა კოოპერატივების და ინდივიდუალურად მომუშავეთათვის. ამასთან ერთად, დადებითად უნდა შეფასდეს იმ კოოპერატივების საქმიანობა, რომლებსაც აქვთ გამოსაყენებელი რესურსების წარმოების საკუთარი ბაზა ან თავიანთ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ რესპუბლიკის გარედან შემოტანილი რესურსებით.

მოსახლეობის სასურსათო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკაში მოქმედი ზოგიერთი სახეობის კოოპერატივის და ინდივიდუალურად მომუშავეთა საქმიანობის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1991 წლის 1 ივლისამდე აეკრძალოთ რესპუბლიკის საწარმოებს, საგაჭრო და სხვა ორგანიზაციებს (სახელმწიფო შეკვეთის ზევით არსებული ნედლეულის ხარჯზე) მიჰყიდონ საზკვების, საკონდიტრო და სხვა სახის კოოპერატივებს, აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავეებს ხორცი, კარაქი, შაქარი, კვერცხი და შედედებული რძე.

2. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— განახორციელონ მკაცრი კონტროლი სახელმწიფო სავაჭრო და საწარმოო ორგანიზაციების, აგრეთვე კოოპერატივებისა და ინდივიდუალურად მომუშავეების მიერ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებისადმი;

— საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა კავშირთან, ასოციაციებთან და რაიონულ და საქალაქო გაერთიანებებთან ერთად მაქსიმალურად შეუწყონ ხელი კოოპერატივებს და ინდივიდუალურად მომუშავეებს საკუთარი რესურსების წარმოების განვითარებისა და რესპუბლიკის გარედან საქონლის შემოზიდვის საქმეში.

3. აღნიშნული დადგენილება ძალაშია მიღების დღიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გელრიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 31 იანვარი, № 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ დებულების, სტრუქტურისა და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ თანდართული დებულება, ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 სექტემბრის № 717 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 1 თებერვალი, № 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს 1991 წლის 1 თებერვლის № 65
დადგენილებით

დ ე ბ ა უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“ (შემდგომში — „მემატიანე“) არის სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობით ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად „მემატიანე“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში არის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო საქართველოს რესპუბლიკაში.

„მემატიანე“ ახორციელებს რესპუბლიკაში საარქივო საქმის დარგობრივ და დარგთაშორის მართვას, განაგებს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, რომლებიც დაცულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში და პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკაში საარქივო საქმის მდგომარეობის, შემდგომი განვითარების, სრულყოფისა და ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

2. „მემატიანის“ მთავარი ამოცანებია:

— სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო არქივების დაკომპლექტებისა და მათში დაცული დოკუმენტების გამოყენების ორგანიზაცია;

— სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დარგში;

— სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია არქივმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოლოგიის დარგში; მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში;

— ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა საუწყებო არქივების საქმიანობისა და სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი;

— საარქივო საქმის დარგში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გავრცელება, საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის წინადადებათა შემუშავება.

3. „მემატიანე“ რესპუბლიკაში საარქივო საქმეს ხელმძღვანელობს უშუალოდ ან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული საარქივო სამმართველოების მეშვეობით და მართავს მას საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური, საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „მემატიანე“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებში.

„მემატიანე“ განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

5. „მემატიანე“ დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაკომპლექტებასა და შენახვას, უზრუნველყოფს სახელმწიფო არქივებში, აგრეთვე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დოკუმენტების გადაცემის დადგენილი წესის დაცვას;

ბ) წყვეტს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საარქივო ფონდების შემადგენლობისადმი დოკუმენტების მიკუთვნების საკითხებს და ახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში რესპუბლიკური მნიშვნელობის ფონდების კონცენტრაციისათვის;

გ) აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში დაცული სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ ძეგლთა სახელმწიფო აღრიცხვას; განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს აღნიშნული დოკუმენტების დაცვისა და გამოყენებისადმი;

დ) შეიმუშავებს ნორმატიულ დოკუმენტებს საარქივო დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს მუშაობას სახელმწიფო არქივების ქსელისა და მათი სტრუქტურის სრულყოფისათვის;

ე) ორგანიზაციას უწევს არქივების მუშაობის პრაქტიკაში დოკუმენტების შენახვის, რესტავრაციის, კონსერვაციის, გამოყენებისა და დაცვის ყველაზე რაციონალური სისტემებისა და მეთოდების დანერგვას, განსაზღვრავს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მოთხოვნილებას მოწყობილობასა და მასალებზე;

ვ) ახორციელებს ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას საუწყებო არქივების მუშაობისა და სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგნიზაციისადმი; საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ატარებს საუწყებო არქივების მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს, აგრეთვე საქმისწარმოებისა და ასეთი არქივების საქმიანობის მდგომარეობის საზოგადოებრივ დათვალიერებებს; ეხმარება საუწყებო არქივებს სახელშეკრულებო საწყისებზე დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, მოწესრიგებისა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენების სამუშაოთა შესრულებაში, აგრეთვე დოკუმენტების ასლების სადაზღვევო ფონდის შექმნაში;

ხ) უზრუნველყოფს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის შექმნასა და განვითარებას, საარქივო ფონდის დოკუმენტების მიხედვით ინფორმაციის ძიების მექანიზებულ და ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვას;

თ) დადგენილი წესით აქვეყნებს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებში დაცული სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შემადგენლობისა და მინაარსის შესახებ, გამოსცემს მემატიანის გამგებლობისადმი მიკუთვნებულ საკითხებზე სამეცნიერო ჟურნალებს, ბიულეტენებს, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, სასწავლო და პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს, ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა საქმიანობას საარქივო მასალების გამოქვეყნებაში;

ი) ამზადებს ინფორმაციის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შესახებ აქტუალურ თემატიკაზე პოლიტიკური, სახალხო-სამეურნეო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად; კოორდინაციას უწევს მუშაობას რეტროსპექტულ დოკუმენტურ ინფორმაციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და დოკუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შესასწავლად;

კ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას; შეიმუშავებს ღონისძიებებს საარქივო საქმის პრაქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების დანერგვისათვის; ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე;

ლ) წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემისა და საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის დანერგვას; ახორციელებს სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას მათი გამოყენებისადმი;

მ) ამოწმებს საუწყებო არქივების მუშაობას და დოკუმენტების ორგანიზაციას რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში;

ნ) შეიმუშავებს და გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ აუცილებლად შესასრულებელ ინსტრუქციებსა და მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

ო) ატარებს დოკუმენტების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის ექსპერტიზას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებში მათი მუდმივად შესანახად შერჩევის მიზნით, ამტკიცებს დადგენილი წესით რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, მათ საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დოკუმენტების ნუსხებს შენახვის ვადებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ) დადგენილი წესით გამოავლენს და მიიღებს სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებისაგან და საზღვარგარეთიდან საქართველოს ისტორიაზე საარქივო დოკუმენტების დედნებს ან ასლებს; ორგანიზაციას უწევს საზღვარგარეთის საარქივო დაწესებულებებთან დოკუმენტების ასლებისა და არქივმცოდნეობითი ლიტერატურის გაცვლას, აგრეთვე მონაწილეობს არქივების საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში;

ჟ) მისცემს დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს სპეციალურ ნებართვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დოკუმენტური ძეგლების შესაკრებად დადგენილი წესით;

რ) შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე და უზრუნველყოფს ამ გეგმების წესრულებას;

ს) შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს, ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს;

ტ) ამტკიცებს საქვეუწყებო დაწესებულებათა საშტატო განრიგებს, დადგენილი წესით ახორციელებს საარქივო დაწესებულებათა დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, უზრუნველყოფს მათი შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად და ეფექტიანად გამოყენებას, აკონტროლებს მათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

უ) წყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს;

ფ) ამტკიცებს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მიერ მომსახურების ტარიფებს საქართველოს რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული ნუსხის მიხედვით;

ქ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს სხვა ქვეყნების არქივების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, მოიწვევს სამეცნიერო, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, თათბირებს, სემინარებს, აწყობს და ატარებს გამოფენებს საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე, დადგენილი წესით;

ღ) ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა კადრების შერჩევასა და განაწილებას;

ყ) უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებისა და საუწყების არქივების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

შ) დროულად და ყურადღებით განიხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, ამასთან, ცდილობს მიაღწიოს მათში აღძრულ საკითხთა სწორად გადაწყვეტას; იღებს ზომებს საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმისწარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. „მემატიანეს“ მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება აქვს:

ა) მიიღოს სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებისა და საწარმოებისაგან აუცილებელი მასალები საუწყებო არქივებში მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის შესახებ;

ბ) მოისმინოს სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენელთა ინფორმაციები საუწყებო არქივების მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

გ) მისცეს სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს მითითებანი საუწყებო არქივების მუშაობასა და საქმისწარმოების დოკუმენტაციაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) შექმნას მუდმივი და დროებითი საუწყებათაშორისო კომისიები და საბჭოები საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხების განსახილველად;

ე) მოაწყოს კონკურსები საარქივო საქმისა და საწმისწარმოების დარგში სამუშაოთა საუკეთესოდ შესრულებისათვის; დაამტკიცოს კონკურსების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) შექმნას ისეთი საწარმოები, რომელთა ფუნქციონირება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარებას (საარქივო დოკუმენტების რესტავრაციის, მიკროფილმირებისა და ასლების დამამზადებელი ლაბორატორიები, სტამბა, საარქივო დოკუმენტების შესანახი ინვენტარის დამამზადებელი საამქრო და სხვ.).

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამები საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე მტკიცდება „მემატიანესთან“ შეთანხმებით.

„მემატიანის“ თანამდებობის პირებს თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება აქვთ დადგენილი წესით გაეცნონ სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურების საქმიანობას.

7. „მემატიანის“ დაფინანსების ძირითადი წყაროა რესპუბლიკური საბიუჯეტო ასიგნებანი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებათა თანხმად მიღებული სპეციალური სახსრები და სხვა შემოსულობანი.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ბალანსს იგი ამზარებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს და სპეციალური სახსრების ანგარიშიდან შეაქვს ბიუჯეტის დავალიანება. სამბანკო დაწესებულებებში ხსნის ბიუჯეტის, კაპიტალური რემონტის და ინვენტარის შეძენის, სპეციალური სახსრების და სპრემიო ანგარიშსწორების ანგარიშებს.

8. „მემატიანეს“ სათაეში უდგას თავმჯდომარე.

„მემატიანის“ თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

9. „მემატიანის“ თავმჯდომარე:

ა) პერსონალურად აგებს პასუხს დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის. აწესებს თავმჯდომარის მოადგილის, განყოფილება-

თა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსების პასუხისმგებლობას „მემატიანის“ საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობისათვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, იძლევა რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მიერ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებებს, ამოწმებს მათ შესრულებას;

გ) საჭიროების შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს;

დ) აუქმებს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ იმ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, „მემატიანის“ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. სამეცნიერო, მეთოდური, საწარმოო და არქივების მუშაობის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად „მემატიანესთან“ იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: „მემატიანის“ თავმჯდომარე (საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილე, „მემატიანისა“ და ცენტრალური სახელმწიფო არქივების ხელმძღვანელი მუშაკები. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მეცნიერებისა და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საბჭო თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების, სახელმწიფო არქივების ორგანიზაციისა და საქმიანობის, საუწყებო არქივების მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს; განიხილავს შესრულების შემოწმებას, კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა პროექტებს, მოისმენს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული საარქივო სამმართველოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, „მემატიანის“ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა, რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ანგარიშებს; განიხილავს სამეცნიერო და მეთოდურ საკითხებს, სახელმწიფო საკუთრებაში დოკუმენტების შეძენას.

საბჭოს გადაწყვეტილებანი განხორციელდება, როგორც წესი, „მემატიანის“ თავმჯდომარის ბრძანებებით.

11. „მემატიანესთან“ მოქმედებს ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობის განსაზღვრასთან, დოკუმენტების მნიშვნელობის ექსპერტიზასთან და სახელმწიფო შენახვისათვის მათ შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული საბჭოსა და კომისიის დებულებებსა და შემადგენლობას ამტკიცებს მემატიანეს თავმჯდომარე.

12. „მემატიანის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნებას დამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

„მემატიანის“ ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ამტკიცებს „მემატიანის“ თავმჯდომარე.

13. „მემატიანეს“ აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს“ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ქსელი

— საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;

— საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი;

— საქართველოს რესპუბლიკის კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი;

— საქართველოს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი;

— საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი;

— ქალაქ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;

— საქართველოს რესპუბლიკის სადაზღვევო ფონდის სახელმწიფო არქივი;

— დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია;

— საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა;

— საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანისა“ და ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამეურნეო სამსახური.

საქალაქო სახელმწიფო არქივები

— თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— ჭიათურის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— ტყიბულის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— წყალტუბოს საქალაქო სახელმწიფო არქივი;

რაიონული სახელმწიფო არქივები

— აბაშის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ადიგენის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ამბროლაურის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ასპინძის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ახალქალაქის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ახალგორის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ახმეტის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ბაღდათის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ბოგდანოვკის რაიონული სახელმწიფო არქივი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოლნისის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ბორჯომის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— გარდაბნის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— გორის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— გურჯაანის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— დმანისის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— დუშეთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ვანის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ზესტაფონის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ზნაურის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ზუგდიდის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— თელავის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— თეთრი წყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი;
— თერჯოლის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— თიანეთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— კასპის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ლაგოდეხის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ლანჩხუთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ლენტეხის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— მარნეულის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— მარტვილის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— მესტიის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— მცხეთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ოზურგეთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ონის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— საგარეჯოს რაიონული სახელმწიფო არქივი;
— სამტრედიის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— სენაკის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— სიღნაღის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ქარელის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ყაზბეგის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ყვარლის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ჩოხატაურის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ჩხოროწყუს რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ცხინვალის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— წალენჯიხის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— წალკის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— წითელწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ხარაგაულის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხობის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ხონის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ჯავის რაიონული სახელმწიფო არქივი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

— აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო;
— აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
— გაგრის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— ტყვარჩელის საქალაქო სახელმწიფო არქივი;
— გალის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— გუდაუთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— გულრიფშის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ოჩამჩირის რაიონული სახელმწიფო არქივი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო;
— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
— ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ქედის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ხელვაჩაურის რაიონული სახელმწიფო არქივი;
— ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი;
— შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს 1991 წლის 1 თებერვლის № 65
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

— საორგანიზაციო განყოფილება;
— დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფისა და აღრიცხვის განყოფილება;
— საქმისწარმოების ორგანიზაციის, საუწყებო არქივებისა და დაკომპლექტების განყოფილება;
— დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილება;
— სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის განყოფილება;
— საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება;
— საარქივო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და მშენებლობის განყოფილება;
— საფინანსო განყოფილება;
— საერთო განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 საქართველოს სატრანსპორტო მშენებლობის დამოუკიდებელი კორპორაცია „მაგისტრალის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სატრანსპორტო მშენებლობის დამოუკიდებელი კორპორაცია „მაგისტრალის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 1 თებერვალი, № 68

21 საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 1 თებერვალი, № 69

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო ასოციაცია „ეკოტექნოლოგი-90-ის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სამეცნიერო-საწარმო ასოციაცია „ეკოტექნოლოგი-90-ის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 1 თებერვალი, № 70

23 საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლის საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს კულტურის ფონდის წინადადება, რომ გადაეცეს აღნიშნულ ფონდს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლი თავისი სტრუქტურული დანაყოფებით, ალმანახ „კავკასიონით“, შენობით, დამხმარე ფართობით, ავტოტრანსპორტით, ქონებით (ბალანსიდან ბალანსზე) მუშაკთა შესანახი და სხვა ხარჯებით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტში.

2. ლიტერატურული ურთიერთობების სახლს ეწოდოს „საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული კულტურული ურთიერთობების ცენტრი“.

3. კულტურული ურთიერთობების ცენტრს მიენიჭოს იურიდიული პირის უფლება (დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები ბანკში (მათ შორის სავალუტო) და საკუთარი ბეჭედი).

4. რეგისტრირებულ იქნეს გამომცემლობა „უქიმერიონი“, როგორც აღნიშნული ცენტრის ორგანო.

5. გამომცემლობა „უქიმერიონის“ საჭიროებისათვის, აგრეთვე კულტურული ურთიერთობების ცენტრის ყოველწლიური ალმანახის „კავკასიონის“ ყოველკვარტალურ გამოცემად გარდასაქმნელად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს რესპუბლიკის სახმომარაგებამ გათვალისწინონ აღნიშნული ცენტრისათვის 1991 წლიდან საჭირო ქაღალდის გამოყოფა გამომცემლობისათვის გათვალისწინებული ფონდის ფარგლებში.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კანცელარიამ გამოუყოს კულტურული ურთიერთობების ცენტრს მთავრობის № 2 ავტომატური სადგურიდან — ერთი ნომერი.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1991 წლის 15 მაისამდე შეასრულოს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლთან დაკავშირებით მიღებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 9 ოქტომბრის № 501 დადგენილება გალაკტიონის ქუჩის № 20 სახლიდან 4 ოჯახის გაყვანის შესახებ (6 ბინა), ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს 1991 წელს საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულ კულტურული ურთიერთობების ცენტრს ყოფილი ლიტერატურული ურთიერთობების სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის 1990 წელს ამავე დადგენილებით გათვალისწინებული და აუთვისებელი სახსრები 330 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 8 თებერვალი, № 81

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 9 ნოემბრის № 699 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 9 ნოემბრის № 699 დადგენილება „სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრისა და ასოციაცია „სამართლის“ შექმნის შესახებ“ მიღების დღიდანვე.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გააუქმოს ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ყველა მოქმედება და დოკუმენტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 11 ოქტომბერი, № 84

25 ჟურნალ „ღიმილის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სატირიკოსთა და იუმორისტთა ასოციაციის ჟურნალი „ღიმილი“.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჟურნალი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 13 თებერვალი, № 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 საქართველოს „დოსაფის“ საქმიანობის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეწყდეს საქართველოს დოსაფის საქმიანობა.

2. დაევალოს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს შეაჩეროს ანგარიშსწორება დოსაფის ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციასთან და ფულადი სახსრები გადარიცხოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ფონდში.

3. დაევალოს საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ერთი თვის ვადაში გადასცეს ეროვნულ გვარდიას ბალანსიდან ბალანსზე, როგორც გამონაკლისი, მის მიერ დაკავებული შენობები, ტექნიკა და ტრანსპორტი.

4. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შექმნან სპეციალური კომისიები საქართველოს დოსაფის ხელმძღვანელების წარმომადგენლობით, აღრიცხონ აქტით მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და, როგორც გამონაკლისი, გადასცენ ეროვნულ გვარდიას ბალანსიდან ბალანსზე.

5. ზემოაღნიშნული საკითხების ოპერატიულად გადასაწყვეტად შექმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში სამუშაო ჯგუფი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის, ბატონ თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით.

6. გაუქმდეს საქართველოს დოსაფის მიერ შექმნილი ყველა კოოპერატივი და ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული თავდაცვის ინტერესებს და ერთი თვის ვადაში გაათავისუფლონ მათ მიერ დაკავებული შენობები, გაუქმონ მათ მიერ დადებული ერთობლივი ხელშეკრულებები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 13 თებერვალი, № 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 აგვისტოს № 408 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საშინ მასალათა და სამშენებლო სამუშაოთა გაძვირების გამო შესაბამისი ინდექსაციის შემოღებასთან დაკავშირებით, საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის დონის ამაღლების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 აგვისტოს № 408 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ინსტრუქციის I-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 1 იანვრიდან საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის დაწესდეს სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოო და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობა შემდეგი ფულადი შესატანით:

ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და სხვა სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციებისათვის მათ მიერ პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების მოცულობის 1,0 პროცენტი;

ბ) დამამზადებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის მათ მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წლიური ბრუნვიდან, პურის მიმღები საწარმოებისათვის (პურის მიმღები პუნქტები, სარეალიზაციო ბაზები, ელევატორები, პურის ბაზები) წლიური კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით გაანგარიშებული ერთიანი გასაშვები ფასების 1,0 პროცენტი;

გ) სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის წლიური საქონელბრუნვის 0,1 პროცენტი“.

ინსტრუქციის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ორგანიზაციები, დაწესებულებები საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და შენახვის ხარჯებს 1991 წლიდან გადაიხდიან მათ განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნმა „საქავტოგზამ“ და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ 1991 წლის 1 აპრილამდე დაამუშაონ და წარმოადგინონ წინადადება საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდისა და მისი წყაროების შექმნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 თებერვალი, № 92

28 საქართველოს ასოციაცია „იმედის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
რეგისტრირებულ იქნეს სამეურნეო ასოციაცია „იმედის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 თებერვალი, № 94

29 სრულიად საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 თებერვალი, № 95

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ასოციაცია „კომპლექსის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ასოციაცია „კომპლექსის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 თებერვალი, № 96

31 თბილისის სტეფანე შაუმიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის სახელის შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინადადება თბილისის სტეფანე შაუმიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის სახელის შეცვლის შესახებ და ამ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით მიეკუთვნოს მას გამოჩენილი სომეხი მსახიობის პეტროს ადამიანის სახელი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 15 თებერვალი, № 97

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 7 თებერვლის № 76 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ელექტროენერგიის მკვეთრი დეფიციტის გამო შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 7 თებერვლის № 76 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შედეგად გაჩერებული გაერთიანებები და საწარმოები განთავისუფლდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისათვის სახელშეკრულებო ვალდებულებებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი ბ. ბერიძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 98

33 საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი ბ. ბერიძე

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 99

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 100

35 ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქველმოქმედო ასოციაცია „მზისას“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქველმოქმედო ასოციაცია „მზისას“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

36 ქართველთა სულიერი ერთიანობის განმამტკიცებელი დასის „რწმენის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს ქართველთა სულიერი ერთიანობის განმამტკიცებელი დასის „რწმენის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 102

37 სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავებისა და განთავისუფლების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ:

სახელმწიფო ადგილობრივი საკუთრების საწარმოს ხელმძღვანელს დაიქირავებს და დანიშნავს თანამდებობაზე მასთან კონტრაქტის დადების გზით პრეფექტი, საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს აზრის გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური საწარმოს ხელმძღვანელს დაიქირავებს და დანიშნავს თანამდებობაზე მასთან კონტრაქტის დადების გზით შესაბამისი სამინისტრო, უწყება ან სხვა ორგანო, რომელსაც დელეგირებული აქვს მესაკუთრის უფლებანი ამ საწარმოს მართვისა, შრომითი კოლექტივის საბჭოს აზრის გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკავშირო საწარმოს ხელმძღვანელს დაიქირავებს და დანიშნავს თანამდებობაზე მასთან კონტრაქტის დადების გზით სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტრო, უწყება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ამ საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს აზრის გათვალისწინებით.

კონტრაქტი არის შრომითი ხელშეკრულების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საკადრო პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას, მუშაკის ინიციატივისა და დამოუკიდებლობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას მისი ინდივიდუალური უნარისა და პროფესიული ჩვევების გათვალისწინებით, მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობის გაძლიერებას, საწარმოს ხელმძღვანელის სამართლებრივ და სოციალურ დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაქტის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი მოქმედების ვადა, საწარმოს საწარმოო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის შედეგები, რომელსაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი, მხარეთა უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პირობები, ხელმძღვანელისათვის აუცილებელი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა პირობები, ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად საწარმოს მდგომარეობის, მისი საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების, კონტრაქტის მოშლის საფუძვლების გათვალისწინებით.

კონტრაქტის მომზადებისა და საწარმოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევისას განიხილება ამ საწარმოს საბჭოს წინადადებანი. კონტრაქტის პირობები იმ საკითხების გამო, რომლებიც საწარმოს საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება, უნდა შეუთანხმდეს აღნიშნულ საბჭოს.

2. კონტრაქტს ხელს აწერენ ამ დადგენილების 1-ელ პუნქტში აღნიშნული ორგანოს ხელმძღვანელი და საწარმოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნული პირი.

ხელმძღვანელებთან, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან თანამდებობებზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების მიღებამდე, ასევე დაიდება კონტრაქტი. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი უარს აცხადებს კონტრაქტის დადებაზე, მასთან შეწყდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

კონტრაქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მასში ცვლილებანი შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

3. კონტრაქტი მოიშლება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აგრეთვე კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამასთან, თუ კონტრაქტი მოიშალა კონტრაქტით გათვალისწინებული საფუძვლებით, მაგრამ ეს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, დათხოვნა მოხდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

კონტრაქტის მხარეთა შორის დავა განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. შრომის ანაზღაურების პირობები კონტრაქტით უნდა განისაზღვროს საწარმოს საწარმო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის შედეგებისაგან გამომდინარე. ამასთან, ხელმძღვანელის თანამდებობრივი განაკვეთი არ შეიძლება იყოს იმ მინიმალურ თანამდებობრივ სარგოზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია ამ თანამდებობისათვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციასთან ერთად ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებთან კონტრაქტების დადების რეკო-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

მენდაციები, სადაც მოცემული იქნება სახალხო მეურნეობის დარგების, მათ შორის არასაწარმოო სფეროს, თავისებურებათა გათვალისწინებისათვის ფართო შესაძლებლობანი, ავრეთვე კონკრეტული საწარმოების სპეციფიკა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 18 თებერვალი, № 103

38 ჟურნალ „ნაკადულის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში ჟურნალი „ნაკადული“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ჟურნალი.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ჟურნალის გამოსაცემად საჭირო რაოდენობის ქაღალდის ფონდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 19 თებერვალი, № 106

ეროვნული ბიბლიოთეკა

39 სახელმწიფო კონცერნ „ვარძიის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
რეგისტრირებულ იქნეს სახელმწიფო კონცერნ „ვარძიის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 22 თებერვალი, № 108

40 სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსი“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 110

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

41 გაზეთ „თბილისის“ და მისი დამატების „ცნობის ფურცლის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს გაზეთი „თბილისი“ თავისი დამატებით „ცნობის ფურცელი“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთისა და მისი დამატების გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გაზეთისა და მისი დამატების გამოსაცემად საჭირო რაოდენობის ქაღალდის ფონდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 111

42 გაზეთ „კვირაქალის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ თხოვნა და რეგისტრირებულ იქნეს ყოველკვირეული საინფორმაციო, სახალისო-შემეცნებითი გაზეთი „კვირაქალი“ (ფორმატი ა3, მოცულობა — 12 გვერდი, ტირაჟი 50 ათასი ეგზემპლარი), რომელიც გააშუქებს საინტერესო მოვლენებს, ფაქტებს, აგრეთვე გააცნობს მკითხველს, თუ რას წერს მსოფლიო პრესა საქართველოს შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გაზეთის გამოსაცემად საჭირო რაოდენობის ქაღალდის ფონდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 112

43 ჟურნალ „ხალხური მედიცინის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციის თხოვნა და რეგისტრირებულ იქნეს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ხალხური მედიცინა“, როგორც ამ ასოციაციის ორგანო.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჟურნალი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 113

ეროვნული ბიბლიოთეკა № 1

44 გაზეთ „საქმის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს ასოციაცია „ქართული ახალგაზრდობის სამეურნეო-ეკონომიკური საქველმოქმედო ინიციატივის“ გაზეთი „საქმე“.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაზეთი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 114

45 გაზეთ „ლემის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს სადროშო „ლემის“ გაზეთი „ლემი“.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გაზეთი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 საქართველოს რესპუბლიკის არქეოლოგიური ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის არქეოლოგიური ფონდის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 25 თებერვალი, № 119

47 ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალების" რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნა და რეგისტრირებულ იქნეს ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები".

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჟურნალი გამოიცემა საკუთარი ქაღალდითა და სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო კანცელარიის მმართველი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1991 წ. 26 თებერვალი, № 121

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 1, 1991 წელი

გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/V-91 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 4. სააღრიცხვო თაბახი 4.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 474 ტირაჟი 1900

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა